## მოძრავი ნივთების ნასყიდობის ხელშეკრულება 5-12

### მუხლი 1. ხელშეკრულების დადების ადგილი და დრო

წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში "ხელშეკრულება") დადებულია ქ. თბილისში, 2011 წლის 30 დეკემბერს.

### მუხლი 2. ხელშეკრულების მხარეთა იურიდიული სტატუსი

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები არიან:
ერთის მხრივ, **შპს "ალტა"**, მდებარე ქ. თბილისი,საბურთალოს 35, ს/კ 211380691, წარმოდგენილი მისი დირექტორის, ირაკლი კაკაბაძის მიერ, შემდგომში "გამყიდველი" და მეორეს მხრივ, სოფელი წეროვნის №2 საჯარო სკოლა, მდებარე მცხეთის რაიონ, სოფელ წეროვანში, ს/კ 236059251, წარმოდგენილი მისი დირექტორის, ეთერ ჩიხლაძის მიერ, შემდგომში „მყიდველი".

### მუხლი 3. გასაყიდი ქონება და მისი გაყიდვის ძირითადი წესი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველი ვალდებულია მფლობელობაში და საკუთრებაში გადასცეს მყიდველს დანართ №1-ში მოცემული მოძრავი ნივთები (შემდგომში "ქონება"), აგრეთვე მასთან დაკავშირებული საბუთები.

3.2. ქონების შესყიდვა მყიდველის მიერ ხორციელდება გამყიდველისთვის ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში.

3.3. მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს და გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს ქონება – **1063 ლარის (ათას სამოცდასამი ლარის)** ღირებულების ფარგლებში წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით.

3.4. მყიდველი ვალდებულია მიიღოს ქონება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულების მე-6 მუხლში მოცემული წესით.

### მუხლი 4. გამყიდველის უფლებამოსილება ქონებაზე

გამყიდველი აცხადებს და ადასტურებს, რომ იგი არის ქონების მესაკუთრე.

### მუხლი 5. ქონების ხარისხი

5.1. გამყიდველი მყიდველს საკუთრებაში გადასცემს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქონებას.

5.2. უფლებრივად უნაკლო ქონების ქვეშ მხარეები გულისხმობენ იმას, რომ ქონება თავისუფალია ყოველგვარი უფლებრივი დატვირთვისაგან, არ არის დაგირავებული და მესამე პირებს, მათ შორის სახელმწიფო ორგანოებს, არ შეუძლიათ წაუყენონ მოთხოვნები მყიდველს ქონების საკუთრების და მფლობელობის უფლებიდან გამომდინარე.

5.3. ნივთობრივი უნაკლოობა გულისხმობს, **რომ ქონება** შეესაბამება მოცემულ მონაცემებს და ვარგისია ჩვეულებრივი გამოყენებისათვის.

**მუხლი 6. ქონების ღირებულების გადახდის წესი.**

6.1. მყიდველი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს მის მიერ ნაყიდი ქონების ღირებულება ხელშეკრულების 7.5 პუნქტში მოცემულ სასაქონლო ზედნადებზე მხარეთა ხელმოწერიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

6.2. ქონების ფასი მოცემულია წინამდებარე სასაქონლო ზედნადებში . გადახდა წარმოებს ქართულ ლარში, გადახდის დღისათვის დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად. სავალუტო კურსის 3% მეტი ცვლილების შემთხვევაში გამყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ფასის ქორექტირება კურსის ცვლილების პროპორციულად. გამყიდველის ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს წარმოქმნილი ფასის სხვაობა.

6.3. გასაყიდი ქონების საბაზრო ფასის ცვლილების შემთხვევაში, გამყიდველს უფლება აქვს შესაბამისად შეცვალოს მისი ღირებულება. ცვლილება არ შეეხება იმ ქონებას, რომელზეც უკვე გამოიწერა ზედნადები. გამყიდველი ატყობინებს მყიდველს ქონების ფასის ცვლილების შესახებ. ფასის ცვლილება არ საჭიროებს მყიდველის თანხმობას.

6.4. მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, გამყიდველი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარუდგინოს მყიდველს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

**მუხლი 7. ქონების შესყიდვის მოთხოვნა და მიწოდება**

7.1. გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს მყიდველს ქონება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 დღის ვადაში. გამყიდველის მიერ მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ქონების ღირებულების 0.1%, მაგრამ არაუმეტეს ქონების ღირებულების 5 %-ისა.

7.2. ქონების შესყიდვის მოთხოვნა შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან კომპანიის ვებპორტალის მეშვეობით და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შესასყიდი ქონების მახასიათებლებისა და ოდენობის შესახებ.

7.3. მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს გამყიდველისგან ქონების ან მისი ნაწილის შესყიდვა ქონების შესყიდვის მოთხოვნის მიწოდებიდან 5 დღის ვადის განმავლობაში. ვადის გასვლის შემდეგ გამყიდველს უფლება აქვს არ გადასცეს მყიდველს მოთხოვნილი ქონება.

7.4. გამყიდველს უფლება აქვს არ გადასცეს მყიდველს საკუთრებაში ქონება ან მისი ნაწილი, თუ მოთხოვნის დროისთვის, მას საკუთრებაში არ ექნება ასეთი ქონება.

7.5. ქონების მყიდველზე გადაცემისას მოხდება სასაქონლო ზედნადებზე (შემდგომში "ზედნადები") მხარეთა ხელმოწერა, რაც ადასტურებს ქონების მყიდველის მფლობელობაში და საკუთრებაში გადასვლას.

**მუხლი 8. ქონების ხარისხის შემოწმება და პრეტენზიების წარდგენა**

8.1. მყიდველი ვალდებულია ქონების საკუთრებაში და მფლობელობაში მიღებისას შეამოწმოს მისი ხარისხი. თუ ქონება შეესაბამება ხელშეკრულების მე-5 მუხლში მოცემულ პირობებს, ქონება ჩაითვლება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლოდ.

8.2. ზედნადებზე ხელმოწერით დასტურდება, რომ მყიდველმა მიიღო უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქონება.

8.3. თუ ქონების საკუთრებაში და მფლობელობაში მიღებისას განხორციელებული შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ქონება ნაკლის მქონეა, მყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს გამყიდველს ქონების შეცვლა. გამყიდველს უფლება აქვს გონივრულ ვადაში შეცვალოს ქონება ან უარი თქვას შეცვლაზე. შეცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში ნაკლის მქონე ქონება უბრუნდება გამყიდველს. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელი ნაკლის მქონე ქონება გადაეცეს მყიდველს შესაბამისად შემცირებული ფასით.

8.4. ქონების ნაკლთან დაკავშირებული პრეტენზია უნდა განხორციელდეს წერილობით.

**მუხლი 9. საკუთრების და მფლობელობის უფლების გადასვლა**

ქონებაზე საკუთრების და მფლობელობის უფლება მყიდველზე გადადის ზედნადებზე მხარეთა ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 10. რისკის გადასვლა**

ქონების დაზიანების, დაკარგვის ან განადგურების რისკი გადადის მყიდველზე ზედნადების ხელმოწერისთანავე, ხელშეკრულების მე-8 მუხლში აღნიშნული პირობების გათვალისწინებით.

**მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა**

11.1. თუ მყიდველი გადააცილებს ქონების ღირებულების გადახდის ხელშეკრულების 6.1. პუნქტში აღნიშნულ ვადას, მყიდველი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს პირგასამტეხლო, გადაუხდელი თანხის 0,3%-ის (ნული მთელი სამი მეათედი პროცენტი) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11.2. ქონების ყიდვის მოთხოვნის გამყიდველისთვის მიწოდების შემდეგ, ქონების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს პირგასამტეხლო შესაბამისი ქონების ღირებულების 3%-ის ოდენობით და დამატებით აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუკი ის აღემატება პირგასამტეხლოს ოდენობას, მათ შორის ქონების შენახვით გამოწვეული ხარჯები.

11.3. გამყიდველს არ ეკისრება მყიდველის მიმართ არანაირი პასუხისმგებლობა, მათ შორის ზიანის ანაზღაურება, თუ ხელშეკრულების 7.4. პუნქტის შესაბამისად, მას საკუთრებაში არ აღმოაჩნდება და ვერ გადასცემს მყიდველს, მის მიერ მოთხოვნილ ქონებას.

11.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

11.5. გამყიდველს უფლება აქვს მყიდველს, მისი თანხმობის გარეშე გაუქვითოს ამ ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველისთვის გადასახდელი ნებისმიერი თანხა, მყიდველის მიერ მისთვის გადასახდელ ნებისმიერ თანხაში.

**მუხლი 12. ფორს-მაჟორი**

12.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებების) ზემოქმედებით. დაუძლეველ ძალად მიიჩნევა: წყალდიდობა, მიწისძვრა, გაფიცვა, სამხედრო მოქმედებები, ბლოკადა, სახელმწიფო ორგანოების (მათ შორის საბაჟო და საგადასახადო ორგანოების) აქტები, ან ქმედებები და სხვა.

12.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარე ვალდებულია არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა წერილობით შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კარგავს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების მოთხოვნის უფლებას.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ შეტყობინების ზემოაღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული წესის დაცვის შემთხვევაში მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე. ხოლო თუ ეს გარემოებები განაგრძობს მოქმედებს 2 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მაშინ ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების შეყვეტა.

**მუხლი 13. დავები**

13.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მხარეთა უთანხმოებისას, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიიქცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის $1^1$ ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედება და მისი ვადამდე მოშლა**

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ მათი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

14.2. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად მოშალონ ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს მისთვის დაკისრებულ ვალდებულებას.

14.3. გარდა ზემოაღნიშნული წესისა, გამყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება ნებისმიერ შემთხვევაში, მყიდველისთვის 10 (ათი) დღით ადრე გაკეთებული შეტყობინებით. ასეთ შემთხვევაში მყიდველს უფლება აღარ ექნება მოითხოვოს ქონების საკუთრებაში და მფლობელობაში მიღება და ვალდებული იქნება გადაუხადოს გამყიდველს მოცემული დროისთვის შესყიდული ქონების ღირებულება სრულად, სასაქონლო ზედნადებში მოცემული ფასების შესაბამისად.

**მუხლი 15. დამატებითი პირობები**

15.1. მყიდველი აცხადებს, რომ მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერა და ქონების შესყიდვა არ ეწინააღმდეგება კანონს, მისი კომპანიის წესდებას, ოქმებს და პარტნიორთა სხვა გადაწყვეტილებებს და სხვა დოკუმენტებს.

15.2. თუ კანონმდებლობაში ცვლილებების გამო ხელშეკრულების რომელიმე მუხლი ან პირობა დაკარგავს ძალას, სხვა მუხლები და პირობები რჩება ძალაში.

15.3. ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება უნდა მოხდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15.4. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ გადახდას მხარეები აწარმოებენ ხელშეკრულების მე-19 მუხლში მოცემულ რეკვიზიტებზე.

15.5. ყველა შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად, თუ ის გაიგზავნა დაზღვეული ფოსტით მხარის ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, ან ჩაბარდა მხარეს ხელზე. თუ მხარე მისამართის ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ არ აცნობებს მეორე მხარეს, ძველ მისამართზე მისული შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად.

**მუხლი 16. ეგზემპლარები**

ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე ორ იდენტურ ეგზემპლიარად. ერთი ეგზემპლიარი ინახება გამყიდველთან, მეორე - მყიდველთან.

**მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები აცხადებენ თანხმობას წინამდებარე ხელშეკრულების შინაარსზე და ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების ხელმოწერამდე ქონებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე მხარეებს ერთმანეთის მიმართ არანაირი პრეტენზია, მოთხოვნები და ვალდებულებები არ გააჩნიათ.

**შპს "ალტა"**
ტელ.: (+995 32) 2380038
მისამართი:
**საბურთალოს ქ. №35**
ს/კ : **211380691**
საბანკო რეკვიზიტები:

ბანკი: "რესპუბლიკა"
ბანკის კოდი: 220101757
ა/ა: GE83BR0000000006467370

გამყიდველი:

ირაკლი ბაკაბაძე

.....

**ს.წეროვნის №2 საჯარო სკოლა**
ტელ: (+99577) 971112
მისამართი:
**ს.წეროვანი**
ს/კ : **236059251**
საბანკო რეკვიზიტები:

ბანკი:" "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა: **GE85LB0121141510630000**

მყიდველი:

ეთერ ჩიხლაძე

.....

დანართი №1

1.ViewSonic PJD5233 DLP 3D 1024x768XGA 2700Lu. 3000:1 HDMI/1080p S-Viseo-1063 lari

თანხა სიტყვიერად: (ათას სამოცდასამი ლარი)

**შპს "ალტა"**
ტელ.: (+995 32) 2380038
მისამართი:
**საბურთალოს ქ. №35**
ს/კ : **211380691**
საბანკო რეკვიზიტები:

ბანკი: "რესპუბლიკა"
ბანკის კოდი: 220101757
ა/ა: GE83BR0000000006467370

გამყიდველი:

ირაკლი ბაკაძე

.....

**ს.წეროვნის №2 საჯარო სკოლა**
ტელ: (+99577) 971112
მისამართი:
**ს.წეროვანი**
ს/კ : **236059251**
საბანკო რეკვიზიტები:

ბანკი:" "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა: **GE85LB0121141510630000**

მყიდველი:

ეთერ ჩიხლაძე

.....